

572/2  
1987

ISSN 0138-9966  
საქართველოს  
საბჭოთავო კულტურის  
მინისტროს



1987 თებერვალი № 2

ქართული

ზაურ გომეზაძე

# სათეზეკვლო

საუკუნის თქროვ,  
 ზურმუხტო და ლალო,  
 დედა საქართველოს  
 მსხსნელო თებურვლო!  
 ჩვენმა წინაპრებმა  
 ბევრი სისხლი ღვარეს,  
 რომ შენ სტუმრებოდი  
 აკუნისხელა მხარეს,  
 რომ შენ აკესდინა  
 გიორი ხალხის ნატვრა,—  
 საქართველოს რუკა  
 ახლად დავესატა.  
 ჩვენი თბილო მიწავ,  
 ჩვენი წმინდა წვალო,  
 თებურვლის თვით სუნთქავ,  
 თებურვლის თვით ხარობ.  
 დოვლათის და ზვავის  
 მოელვარე მსეო,  
 ჩვენი დედა ენის  
 უკვდავების თვეო.  
 ჩვენი ძლიერების  
 ფოლადო და რვადო,  
 სწავლის თებურვლო,  
 შრომის თებურვლო.  
 გლოცავთ ვეკლა ნორჩი  
 ახული და მეო,  
 მამულიძვილეზად  
 ჩვენი დასრდის თვეო.  
 მარად გვაამაე,  
 მარად გვინათეო,  
 ბედნიერი ხალხის  
 სახეიმო თვეო!





572  
1987/2

# მედსანთის დაბრუნება

ვლადიმერ ასლამაიშვილი

მხატვარი მღუარე ამგოკაძე

სიზმარში დედაც ხედავს ავთოს და ბე-  
ბიაც. თითქმის ყოველდღე ხედავენ. მერე  
დადგებიან და ერთმანეთს დიდის ამბით  
უყვებიან, ვენაცვალე ჩვენს ჯარისკაცს, მე  
ასე და ასე გამომეცხადა ძილში, მე ასე  
და ასეო.

სოსო გავაციცებით უგდებს ყურს იმით  
და ჯავრობს, ჯავრით ლამის გული გაუსკ-  
დეს. მოდი და ნუ გაჯავრდები. რაც ავთან-  
დელი არმიაში გაინვიეს, განა ცოტა დრო  
გავიდა? სადაცაა დაბრუნდება კიდეც. სო-  
სოს კი ერთხელაც არ დასიზმრებია უფრო-  
სი ძმა. ძილში მაინც რომ გამოლაპარაკებო-  
და, ზოგიერთ ისეთ რამეს მოუყვებოდა, რა-  
საც ვერც დედას მიაწერიანებს ავთოსთან,  
ვერც — მამას.

გინდაც იმ უხეირო ბეჭანზე შესჩივლებ-  
და ძმას. იმის შიშით მართოდ ქუჩაში ვერ  
გაუვლია. ვერსად გამოჩენილა. აქაოდა სო-  
სოზე ერთი წლით დიდი ვარო, დაიბრწყვა  
ბიჭი. თუ სადმე მოჰკრა თვალი, უკან კე-  
ლასავით გამოენთება, დამაცა, ერთი  
მაგრად მიგბეგვოო. კიდეც კარგი, სოსომ  
კურდღელივით სწრაფი სირბილი იცის, მიჰ-

ქრის შინისაკენ და ვერ გაუგია, რატომ უნ-  
და მიბეგვოს ბეჭანამ, როცა მისთვის არა-  
ფერი დაუშავებია, ერთი სიტყვითაც არ უნ-  
ყენინებია. ავთანდელი ჯარში რომ არ იყოს,  
უმცროს მმას არავის დაჩაგვრინებდა. ჯარ-  
შია და რა ქნას სოსომ, ჰა?


ამასწინათაც ქუჩაში საიდანღაც უცებ გა-  
მოუხტა ბეჭანა. კინალამ დაიჭირა, ძლივს  
დაუშვრა სოსო ხელიდან. იმან დევნაში ქვას  
ფეხი წამოჰკრა და პირქვე დაეცა. სოსომ  
უკან რომ მოიხედა, ბეჭანას ცხვირზე ორივე  
ხელი მიეფარებინა და ვაიმე დედავ, ვაიმე  
დედაო, ტიროდა. სოსოს შეებრალა მაინც.  
შინ დარდიანი მივიდა, ასე ეგონა, თვითონ  
იყო დამნაშავე.

მას შემდეგ ძმის მაგიერ სულ ის ცხვირგა-  
ტეხილი ბეჭანა ესიზმრება.

— თუ გინდა, რომ ავთანდელი დაგესიზმ-  
როს, იმის სურათი ღამით ბალიშის ქვეშ  
ამოიდევ, — ურჩია ერთხელ ბებიამ სოსოს.

იმანაც დაიჯერა.

აილო ჯარიდან გამოგზავნილი ძმის სურა-  
თი და ლოგინში ჩანვა. ვიდრე დაიძინებდა,  
სურათს სიყვარულით კარგახანს უცქირა.



18469

ქვე. სსრ კ. შარქის  
ნაბ. ნაბ. რესპუბ.  
გენალიოტოპა



ვერ წარმოიდგენთ, როგორ მოსწონდა ძმა მედეხანტის ფორმაში. თავზე ხინკალა ქუდი — ბერეტი ეხურა, მკერდი სპორტული ნიშნებით შქონდა საესე. მამა ამბობს, ჩვენი ჯარისკაცი პარაშუტით სტომაში ძალიან ყოჩაღია, ასეულში ვერაინ სჯობია, მე-თაურები ემადლიერებიანო.

— მეც მედეხანტე გამოვალ, მეთაურებს მეც მოვეწონები, — სშირად ამბობს სოსო და მოუთმენლად ელის იმ დღეს, როცა არმიელი გახდება და სამშობლოს სადარაჯოზე დადგება.

ბიჭი სურათის ყურებით რომ გაძლა, სურათი ბალიშქვეშ ამოდო, თვითონ პირქვე დანვა, ლოყა ბალოშზე იმ ადგილას დადო, სადაც სურათი ეგულეებოდა. თვალები მაგრად დახუჭა, იქნებ მალე ჩამეძინოსო. ეე, როდის-როდის ჩაეძინა.

დილით უხალისოდ გაიღვიძა. ავთოს მაგიერ ისევ ბუჟანა დაესიზმრა. ედავებოდა, ცხვირი რად გამიბეჭეო. სულელი...

— ფიქრი ნუ გაქ, გენაცვალე, წუხელ თუ არა, ამაღამ მაინც ნახავ, — ანუგეშა ბებიამ.

მეორე ღამეზეც გაუცვრლა იმედი, მესამე-მატ. სიზმარში ძმა ვერ ნახა.

ერთ დილით ის-ის იყო გაიღვიძა სოსომ.

წევს ლოგინში გაუნძრევლად, თვალებდახუჭული და იგონებს, წუხელ რა დამესიზმრაო, რომ ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ბიჭო, სოსო!

სოსო შეკრთა. გულმა ბაგაბუგი დაუნყო. ვაიმე, ეს რა გავიგონე, ეს რა მესმისო. თვალები ჯერ ოდნავ გაახილა. მერე მთლად დააწყვიტა. მის სანოლთან გაღიმებული, ჯარისკაცის ფორმაში გამოწყობილი ავთო იდგა, თავზე ცისფერი ბერეტი ეხურა, მკერდზე სპორტული ნიშნები უბრწყინავდა. აქეთ-იქიდან ბებია, დედა და მამა ამოსდგომოდნენ, ყველა სოსოს უცინოდა.

— ველარ გიცვნია, ბიჭო, შენი ძმა? მედეხანტე ჯარიდან დაკეპბრუნდა, — თქვა მამამ.

— სულ მთლად? — შესძახა სოსომ.

— სულ მთლად, მამ!

ავთომ ღონიერი ხელები უმცროს ძმას იღლიებში ამოსდო და მაღლა ბურთივით შეისროლა.

ესლაც გამომეკიდოს ბუჟანა მისაბეგვად, ერთი არ გაბედავს?! — გაიფიქრა სოსომ და გახარებული ძმას კისერზე ჩამოეკიდა.



# ნეკოდენა

ხომ რამდენს მიირთმევდა ნეკოდენა, მაინც თითისისიგრძე იყო, მაინც ლიფსიტასავით პანია, მოკლედ, მაინც ნეკოდენა ბრძანდებოდა!

გავიყდებით, ნეკოდენა ისეთ სურელში გამჭრება! თუ ჩაუწინთა, მთელი წუთი შეუძლია გაძლებს! ისეთ ვიწრო ტოტზე გავა, სხვა ფეხს ვერ მოიკიდებს! ფეხები აქვს—ერთის ფასად ექვსი ჩუსტი თეიღეს! ღაზარაი იცის, მაგრამ ცოტა ენას უკიდებს! თავი?—ციცქნა; ერთის ფასად ათი ქუდი უვიღეს!

ადგა ერთხელ მამა და ცეროდენა თავის ცერს დაატოლა:

— ეს რა ვნახე, კაცო, მართლა ცეროდენა არა ყოფილა? — გაიცინა მამამ. მერე ადგა და ნეკოდენა თავის ნეკს დაატოლა:

— გავგიჟდები, ადამიანო, მართლა ნეკოდენა არა ყოფილა? — კიდევ უფრო ხმა-მალდა გაეცინა მამას.

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, ასე იყო ეს საქმე: ცეროდენა ძმა ცერის ტოლა გახლდათ, ნეკოდენა ძმა კი — ნეკის ტოლა.

ცეროდენას და ნეკოდენას ისე უყვარდათ ერთმანეთი, როგორც ცერსა და ნეკს უყვართ ერთმანეთი — არც ჩხუბობენ და ერთმანეთს ყოველნიარად ეხმარებიან. ასე არ არის?

თვითონ ხომ თამაშობდნენ ბიჭები ერთად, მამაც ხშირად ეთამაშებოდა თავის ცეროდენასა და ნეკოდენას. ერთხელ გაიხედა დედამ და რასა ხედავს:

შემომჯდარა ცეროდენა მამამისის ცერზე!  
— არაფერი დაუშავდეს მაგ უჭკუო ცერცერს!



შემომჯდარა ნეკოდენა

მამამისის ნეკე

და იქიდან აბუღბუღებს

ძია შიოს ლექსებს.

— დასვი, კაცო! — ლამის გული

გაუხეთქონ დედას!

ისინი კი ხან დგანან და

ხან ფეხმორთხმით სხედან!

\* \* \*

ნეკოდენამ ერთ სასანლეს

სულ გარშემო უარა!

შემიშვიო, თხოვა დარაჯს,

მაგრამ სტკიცეს უარი!

მაშინ კახტად მოხარა

ერთი ბეწო ტანი და,

დარაჯს არც დაუნახავს —

შემგრა ჭკუჭრუტანიდან!

ნეკოდენა აჯობებს

თვითონ უჩინმაჩინებს! —

სადაც უნდა, უჩემრად

იქ შემგრება მაშინვე.

არის ისე გულადი,

ვერაფერი აშინებს.

უნდა? — დამაღება

თვითონ უჩინმაჩინებს.

— ნეკოდენა! სად ხარ, ბიჭო!

ხომ არ ზინარ ჭკურში?

არაფერი რომ არ გეხმის

მაგ დასავსებ ეურში!

— არც ტყუემალსე ვსივარ, ბებო,

და არც კიდევ — ჭკურში!

ვსივარ აკურ, არსეინად,

ჩვენი სპილოს ეურში!

ბებომ ჯანა დაუჯერა:

— რას არ იტყვის შენი ენა! —

მართლა სპილოს ეურში ივდა

იმ დროს ჩვენი ნეკოდენა!

სპილოს ყურში რომ ვერ იპოვო კაცი, რა  
გასაკვირია, მაგრამ სადღეობო სუფრასზე  
რომ გაგვიჩრეს თვალსა და ხელს შუა, ეს რო-  
გორია?

ორთქლში ბოლავს ასი თეფში!

ადის, ჩადის ასი კოვში!

ერთი არის ნინიკოსი,

ერთი არის ვასიკოსი,

ერთი არის ეკუნასი,

ერთი არის ანანოსი!

ღვესტრეც აქვთ მესუფრეებს —

გულაბი და ანანასი!

ადის, ჩადის ასი კოვში —

ამის კოვში,

იმის კოვში:

ზალიკოსი,

ვალდიკოსი,

თალიკოსი,

ნინიკოსი,

მაგრამ არის ერთი კოვში —

კოვში ჩანს და კაცია არ ჩანს!

ჰოდა, კაცია რომ არა ჩანს,

ამ სუფს ვინ ჭამს ანდა რა ჭამს!







ნეკოდენა მოყვარული ბიჭი იყო. დედაც ძალიან უყვარდა, მამაც, ბებიაც, ბაბუაც; მაგრამ თავისი უფროსი ძმა — ცეროდენა ყველას ერჩია.

დედას ეძახის—„დე“ს,  
მამას ეძახის—„მამა“ს,  
ბებოს ეძახის—„ბე“ს,  
ბაბუს ეძახის—„ბა“ს,  
ძმა ისმის—კაცი არა ჩანს!  
საიდან ისმის ძმა!  
ორი ძმა მოდის ქუჩაში,  
ჩანს მხოლოდ ერთი ძმა!

ნეკოდენა კარგი ფეხბურთელი იყო. ყო-ჩალი ბიჭებისაგან გუნდი შეკრა და „ივერია“ დაარქვა. გუნდში ყველაზე ტანმორჩილი, ეს რა საკითხავია, თვითონ ბრძანდებოდა.

- ნეკოდენას გუნდში
- ათი კაცი დარჩა?
- თერთმეტი ვართ, ოღონდ

კანიტანი არ ჩანს!  
დამცველს როცა შედავს,  
ეფარება ბალანს,  
მცველს რომ მიამინებს,  
გადაუღლის მაღაყს!  
ვინ დაიჭერს ნეკოდენას—  
ლეგენდარულ ფორვარდს!  
გასკლით გულსე—ბებო ისეთს  
შეუკერავს ფორმას!

ხატვა უყვარს ნეკოდენას — ცარციო, ფლომასტერიო, ფერადი ფანქრებით — სულ ხატავს და ხაზავს. დაცოცავს სახატავ რვეულზე ციცინათულასავით, იმ თავისი ფერადი ფანქრებიანა, და ხან ხაზავს და ხან ხატავს.

ხატავს ბებოს! ბებოს ნაცვლად  
გამოუღის კატა!  
ხატავს ფისოს!—გვეგონება  
ბებიკონას ხატავს!  
ოდან ხატავს ნეკოდენა—  
გამოუღის ხატა!  
იცინიან შშაკაცები:  
— აი ტა-ტა-ტა-ტა!

\* \* \*

ამშიდებენ ნეკოდენას  
ანი, ეკა, ცარო, თინა:  
— არ შეშინდე ნეკოდენა,  
შენც გასდები ცეროდენა!  
მართლაც წლეულს ნეკოდენამ  
ტანი ისე აიფარა,  
ბებოს როგორ მოეწონაა!  
ბაბუმ როგორ გაინხარა!  
არ არგია ძველი ზაღტო,  
არც შარვალი, არც ხალათი!  
ლეღვს თუ ჭამდა ხუთ კალბასს,  
ვეღარ აძლებს ახლა ათი!  
— გავიწარდე, გენაცვალე!  
სკოლაშიაც წავალ მალე!



ნოდარ ჭულიშვილი

# ფისუნია ფი და მურიკელა ღრრ

მურიკელას თვალი რომ აეხილა და ეზოში გამოვიდა, პირველი ვინც დაინახა, ფისუნია ფი გახლდათ.

თეთრი, ფუმფულა კატის კნუტი მზის გულზე განაბული თებოდა.

— აჰ, აჰ! — შეუყვება მურიკელამ. რატომ შეუყვება? თვითონაც არ იცის.

გაეთამაშა? — თამაშსაც არ ჰგადავ! ისე შეუყვება, ტყუილუბრალოდ.

ფისუნია ფიც დიდი ახირებული ვინმე შრძანდებოდა. აიფხორებოდა, აირკალებოდა, ფიჰ, ფიო, — იმუქრებოდა, ბრაზიანი ფისო იყო, ფიც ამიტომ ერქვა. მურიკელას უმიზეზოდ შეეყვას შეარჩენდა? უცებ აირკალა, ფიიიო! — მიამახა და პასუხად თათი გაჰკრა ცხვირში.

მურიკელამ წკავკავია ატეხა, პატარა კუდი ამოიძუა და გაიქცა, ხეს მიეფარა, ხეს მოფარებული ნემუტუნება. კი არ სტკენია, შეეშინდა.

დახეი საოცრებას! ფისუნიაც სადღაც გამქრალიყო, ქვას ამოფარებოდა და იქიდან უთვალთვალებდა მურიკელას. ისიც ხომ მუშტისხელა კნუტი იყო! უნებურად გაჰკრა თათი, თორემ შიშისაგან ისიც კანკალებდა.

დიდხანს უმზერდნენ ერთმანეთს შორიდან, თითქოს თვალთ ზომავდნენ. საფარიდან გამოსვლას ვერც ერთი ბედავდა და ვერც მეორე.

ბოლოს მოვიდა დედა ძაღლი — ქალბატონი ავმყვარი, ძუძუების პარტყუნ-პარტყუნით, მურიკელას შუბლი აულოკა, ამსიშორეს სად წამოსულხარო, ჩავლო ფრთხილად კბილები და საძაღლეში წაათრია.

დედა კატაც — ქალბატონი ფიშისოც მოვიდა კნავილ-კნავილით, იმანაც ჩასჭიდა კბილები კისერში თავის კნუტს და შინისაკენ წააჩანჩალა.

ასე დამთავრდა ფისუნია ფისა და მურიკელას პირველი შეხვედრა.

## მურიკელა პის გამოუღბა, ფი ეგონა

შავდრუნჩა მურიკელამ დედას — ავმყვარს ტირილით შესჩივლა, ფისუნია ფი თათი დრუნჩში ჩამცხოო.

ავმყვარმა მურიკელა გაამხნევა, ნუ გეშინია, — კატა ძაღლს ვერ მოერევა, კუდზე უკბინე და მეორეჯერ ვერ გაგიბედავსო.

მეორე დღილით მურიკელა საძაღლედან შეგულიანებული გამოვარდა, ყვფა-ყვფით გაემართა ფის საძებრად, კუდზე უნდა ვუკბინოო.

ეზოში სათამაშოდ ამჯერად პი გამოსულიყო, — ფის უმცროსი დაიკო. პი თოვლივით თეთრი კნუტი იყო, მხოლოდ შუბლზე უჭვიოდა შავი ხალი. მურიკელას პი ფი ეგონა და შორიდანვე დაუძახა: ღრრ!.. — ასე იცოდა — ჯერ გამაფრთხილებელ ღრენას ატეხდა, ვითომ მიფრთხილილით, დიდი საშიშროს ვინმე ვარო. თანდათან უმატებდა ღრენას და ყვეთი გამოედევებოდა მსხვერპლს. ღრრ-ო, — რამდენჯერმე უთხრა პის, — გუშინ რომ თათი ჩამცხე, აბა თუ ბიჭი ხარ, გამიმბარდიო.



პი გაცოცდა, თათი როდის ჩავცხე, რა ცილს მწაბებსო, შეეშინდა და უკან-უკან ყურებით გაიქცა. მურიკელა გამოუდგა, თურმე ჩემი როგორ შინებიაო, — გააშყდა, ყუფასაც უშობა და სირბილსაც. ფისუნია პიმ ერთხელაც მოიხედა უკან — მურიკელამ კისერი წაიგრძელა და კინალამ კულზე ნაეტანა. მაშინ მოხდა, რაც მოხდა: ლეკვს ამგვარი სანაყოფი ჯერ არ ენახა, ფისუნია კამარა შეერა, ხეს შეახტა, ააცოცდა ტანზე, და ძირს დარჩილი მურიკელას ჩამოსძახა:

— მიაუ... შე სულლო, მე ის ფისო არა ვარ, ვინც გგონივარო.

განბილებული მურიკელა საძაღლისავენ ღრენა-ღრენით გაბრუნდა, არა უშავს, ხვალ ვნახავ იმ ფისოს და კულზე ხვალ ვუკებნო.

### მურიკელა და ფის კული

მურიკელამ საძაღლიდან რომ გამოიხედა, ებოში ფისოს კულს მოჰკრა თვალი. ფისუნია ფი ბალახებში იყო ჩამალული, მხოლოდ კული მოუჩანდა. კულს ხან მარჯვნივ გადადებდა, ხან მარცხნივ. მისი ჭკუით, ბოლოქანქალას ეპარებოდა, მონადირე კატებს ბაძავდა, თორემ ბოლოქანქალა ეგერ, შე, ღობის ძირას მიბზაკუნობდა, ფისუნია ფი კი სამზადის წინ ჩასაფრებულებო, ამსიშორებზე რა კამარა უნდა შეეკრა, რომ ჩიტს დასწეოდა?

კულს სიმსუნავე უთამაშებდა — ახლა დავიჭერ ჩიტს და პირს ჩავიტკბარუნებო, — განაბულებო ბალახებში და კულს ხან აქეთ დადებდა, ხან იქით.

მურიკელასაც ეს უნდოდა, დრო იხელთა, ბალახებში ხოხვა-ხოხვით, მალვითა და ნაბულით მიეპარა. ისე მაგრა ვუკებნო, ისე მაგრა, თათის შემოკერა ვერასოდეს გამიბედოსო — პანია კბილებს აკანკანებდა და მარჯვე წამს ელოდა. ფი კულს ხან აქეთ დადებდა, ხან იქით, ერთ დადილას არ აჩერებდა. მურიკელაც თვალს გააყოლებდა და გამოაყოლებდა. რომ იფიქრებდა, ახლა დავახტები და ვუკებნო, სწორედ იმ დროს შეათამაშებდა ფი კულს შაერში და სხვა მხარეს გადადებდა. რა ექნა? — საგონებელში ჩავარდა ლეკვი. ბოლოს იფიქრა, კულს თათით დავუჭერ, — თათით დავაკრავ მინას და მერე ვუკებნო. შემართა პანია თათი მალლა და კულს დაუმიზნა...


სწორედ ამ დროს, სად იყო და სად არა, ჭრელი პეკელა მოფრინდა საიდანდაც ხალიანი ფრთების ფათქუნით და ფისუნია ფის სწორედ კულის ბოლოზე დააჯდა. ღრრ-ო — კინალამ წამოსცდა მურიკელას, — აბა, ამას ახლა, ჭკუა მოკითხებაო, — გაბრაზდა, — საიდან მოეხტე, ჩიტირეკიავ! — ლა-

მის შეუყვედა პეკელას. პეკელამ ზურგს უკან ლეკვის გამალებული სუნთქვა შეიგრძნო აფრინდა, თავს ზემოთ ცოტა ხანს იტრიალა და შორს მიიმალა.

მურიკელამ პეკელასთვის შემართული თათი ფისუნიას კულს დაუმიზნა და ისე, როგორც მწერებს იჭერენ, თათი კულს დაჰკრა. ფისუნია ფიმ, ვითომც აქ არაფერი მომხდარაო, კული სხვა მხარეს გადადო. მურიკელაც უმალ გადააჰყვა იქით. ფისუნია ფიმაც უმალ დააბრუნა კული უკან, მურიკელაც ატოტებულად გამოჰყვა უკან. ამაოდ ვერა და ვერ იგდო ხელთ კულდაჭა ფის კული მურიკელამ, ფისომ ნალმა-უკულმა ახტუნავა, შემდეგ უცებ მიუბრუნდა: ფიჰ, ფიჰო, — სიცოლი დააყარა და მოკურცხლა.



მხატვარი ბ. ს. ხილაშვილი



# რევაზ მარჯიანი 70

მთის კალთაზე სოფელია  
ნაირფერად დასატული,  
ცხრა მთა აკრავს სოფელს ირგვლივ,  
ცხრა ჩაუდის ნაკადული,  
ცხრა მუხა დგას სოფლის თავში,  
ცხრათვალა მზე ფანტავს სხივებს,  
ღამით მშვიდად მძინარ სოფელს  
მთვარის შუქი დასციმციმებს...

ასეთი სოფელი მარტო საქართველოში შეიძლება იყოს — ცხრა წყაროთი, ცხრა მუხით, ცხრათვალა მზით დამშვენებული, ცხრა მთით შემოჯარული...

რევაზ მარჯიანი, ვისი სახელიც თქვენ ყველამ იცით, პატარაობისას სწორედ ასეთ სოფელში დარბოდა, დედის ტყბილი ხმით მონაყოლ ზღაპარს ისმენდა და ლამაზ ქართულს სწავლობდა... სწავლობდა, რომ მერე თავისი საკუთარი თუ თავისი ქვეყნის შეიღებისათვის ესწავლებინა ყველაფერი, რაც თვითონ გაიგო თავის ცხრა მუხისა და ცხრა წყაროს გვერდით, თავის ცხრათვალა მზის ქვეშ თამაშისას; რაც დედის კალთაში ჩაძინებულმა ფერად სიზმრებში ნახა; წამოჩინებულმა ნიგნებიდან ამოიკითხა და ახლად

ულვაშაბიბინებულმა სამშობლოს მტრებთან ბრძოლაში გამოსცადა.

რევაზ მარჯიანი დიდ სამამულო ომში იბრძოდა, შინ გამარჯვებული დაბრუნდა და სულ მალე ბავშვების ჟურნალს — „ოქტომბრელს“ ჩაუდგა სათავეში. ჟურნალი მან თავიდან „მონათლა“ და „დილა“ დაარქვა. რაკი „დილის“ რედაქტორი იყო და ბავშვების საკითხავ და გონების სავარჯიშო ჟურნალს ადგენდა, თვითონაც დაიწყო საბავშვო ლექსების წერა. ხოლო რაკი ომგადახდილი იყო და მშვიდობიანი დილა ყველაფერზე მეტად უხაროდა, გამარჯვების სალუტზეც დაწერა ლექსი. აი როგორი ლექსი:

ყვავილები ცვივა ციდან,  
ნაირფერი ყვავილები,  
იქნებ მართლა ცეცხლი განჩნდა?  
ცას სწუდებიან ვარსკვლავები?  
ალაგ წითელი, ალაგ ვეითელი,  
ალაგ ლურჯი, ალაგ მწვანე,  
ჩემი სახლის სახსურავიც  
მეირფას ბაღჩას დაამკვანეს.  
ღამით არვის მალწრება  
ნაირფერი ცისარტყელა,  
იქნებ მესის გრუხუნია,  
იქნებ ელვამ გაიელვა?  
იქნებ მართლაც ცეცხლი განჩნდა,  
ველაფერი იწვის ცაში,  
მაგრამ სალხი რატომ მღერის,  
რატომ დაჭკნა სალხმა ტაში?  
ციდან ცვივა ყვავილები,  
სანძარს ზეცა აუნთია,  
არც ცეცხლია და არც ელვა,  
ცხრა მაისის სალუტია!

რა კარგია, რა კარგია, რომ გამარჯვების დღე, დიდი სიხარულის დღე ცხრა მაისია. ცხრა — ისე ძვირფასია, ისე მშობლიური ეს რიცხვი, როგორც ჩვენს ქვეყანას გუშავივით გარსშემოჯარული ცხრა მთა, როგორც დაღლილი მგზავრის მარდილობელი ცხრა მუხა, მწყურვალის დამრწყლებელი ცხრა წყარო, სიცვიით გათანჯულის გამათობბელი და



გამხალისებელი ცხრათავლა მზე, და კიდევ — როგორც მტრისათვის — ქვიტკირითა და რკინა-აგურით ნაშენი, ცხრაკლიტულით საიმედოდ გადარაზული ცხრა კარი.

აი რას გასწავლით, საერთოდ, რევამ მარგიანი... თავისი მშვენიერი ლექსების გარდა მან ბავშვებს მიუძღვნა პოლონელი პოეტის იულიან ტუვიმის სიყვარულით გადმოქართულებული „მხიარული ლექსები“. აი, მავალითად, „გულმაღვიწყვი სპილო“.

არ გაინტერესებთ, რა გადახდა თავს ამ ჩერჩეტ სპილოს? ანდა როგორი საყვარლები არიან რევამ მარგიანის ლექსების მთავარი გმირები — სათუნა და თამრო? როგორი მოდიდება იცის მთის მდინარე კალმახურამ და როგორ უმკლავდებიან მას უშიშარი დიდები და გულადი პატარები?

ნაიკითხეთ თქვენი მეგობრის და გულშემმატკივრის თქვენდამი მოძღვნილი ნაწერები.

ციციბო ბაგაჩელიძე

მე ერთი სწილა ვიცადი,  
მაგარი,  
დიდი,  
მვალმსხვილი,  
საქვეყნოდ იყო ცნობილი:  
თვედარე სორთუმაშვილი.  
ვეებნა ჰქონდა ფეხები,  
ღრუნჩი—უშვებით მორთული  
და მუღამ თავს იწონებდა  
უშველებელი სორთუმით.  
თავი კი ჰქონდა რეკვენი,  
ეს უნდა გითხრა მართალი,—  
ერთ წამში ავიწვდებოდა  
თვითონ თავისი ნათქვამი.  
სწილას ვაქვს ერქვა თეთრკბილა!  
თეთრკბილა იყო სწორება,  
მამა ეძახდა  
სორთუმას,  
სახელს ვერ იმახსოვრებდი!  
ასულს კი ერქვა  
ფუნთუშა!  
ფუნთუშა იყო სწორება,  
მამა შავტუნას ეძახდა,  
სახელს ვერ იმახსოვრებდი.  
სწილას ცოლს ერქვა წერწება,  
წერწება იყო სწორება,  
მეუღლის სახელს ვერაფრით  
სწილა ვერ იმახსოვრებდი!



მხატვარი ბიორგი როინიშვილი

# შეუკლებელი არაფერი

ერთ მთვარიან ღამეს, როცა ყველას და ყველაფერს ეძინა, კეთილმა ჯადოქარმა ცხოველებს დიდი ხნის სურვილები აუსრულა: სხილოს ხორთუმი მისცა, ჟირაფს — გრძელი კისერი, ზღარბს — ეკლიანი ქურქი, მაიმუნს — გრძელი ხელები, კენგურუს მუცელზე ჩანთა დაჰკიდა, ფარშევანგს ულამაზესი ბოლო მისცა, ბულბულს — მოამჯადოებელი ხმა; მერე პაპირუსის გრძელ გრავინის თვალი საბოლოოდ გადაავლო. — ნეტავ ხომ არავინ გამომჩნავს? — თქვა და სიას თითი ჩააყოლა. — ღომი... მე მგონი უკმაყოფილო არ უნდა იყოს; ნიანგი... გასაგებია; წერო... აქაც ყველაფერი რიგზეა; არჩვი, დათვი, ვეშაპი, მელია, ჭრიჭინა... არა, დღეს ბევრი ვიშრომე, — დაამთქნარა, ჭალარა წვერზე ხელი მოისვა და დასაძინებლად გაემზადა. უცებ კარზე კაკუნი გაისმა:

— ვინ არის?

— მე ვარ. — ოთახში პატარა მწერი შემოფრინდა.

— რა გატჭირებია, ჩემო კარგო? — შეეკითხა ჯადოქარი.

— კეთილო ჯადოქარო, — უთხრა მწერმა, — ერთი სურვილი მაქვს და იქნებ შემისრულო. პატარა ჩირაღდანი მინდა მქონდეს გულში, ღამით რომ ვანათებდე...



— ჩირაღდანი? — გაუკვირდა ჯადოქარს, — რად გინდა?

— როგორ თუ რად მინდა... ზოგი ოცნებობს, მაღლა იფრინოს, ზოგს მინაზე სოხვა მოსწონს, ზოგს — სირბილი ან ცურვა. არიან ისეთებიც, იმაზე ოცნებობენ, რაც შეიძლება მეტი ჭამონ. მე კი მინდა, გზას ვუნათებდე ყველას... შეუძლებელია ამის მიღწევა?

— მთავარია, ძალიან გინდოდეს, თორემ შეუძლებელი არაფერია. — გაელიმა ჯადოქარს, — ოღონდ, იცოდე, ძნელია! გაუძლებ? არ შეეგუწინდება? — გამომცდელად შეხედა მერე.

— ყველაფერს ავიტან, ოღონდ ასრულდეს ჩემი ოცნება.

— თუ ასეა, — სანთელი აანთო ჯადოქარმა, — შედი ცეცხლში.

— ახლავე — თქვა მწერმა და ტანისამოსი გაიხზადა.

— რატომ იხდი? — გაუკვირდა ჯადოქარს.

— უფრო მალე დავიწვები. — უპასუხა მწერმა.

გაელიმა ჯადოქარს, მაგრამ ეს ღიმილი ვაჟაკობით მოხიბლული, სიამაყით აღვსილი, თვალებგაბრწყინებული კაცის ღიმილი იყო.

— არ დანვა, მოფერე და გაათბე, — გადაულაბარაკა ცეცხლს, რომელმაც მწერს პატარა ალი აუნთო გულში.

დღესაც ზაფხულის ბნელ ღამეში, უსათუოდ წაანყდებით, ჩემო შვილებო, მოკაშკაშე მწერებს ჭალებში, ტყეებში, მინდვრებში... ეს იმ გულადი მწერის შთამომავლები არიან — ციციანთალები.

მახატარი სოფიო კიწურაზივილი








მზია ჩხეტიანი

# თოვლი ზიკის

თოვლი ტირის,  
თოვლი ტირის,  
რატომ ტირის თოვლი, ნეტავ?  
— კიგნა გოგომ ასკინკლით  
ჩამიარა!

არც მომხედა!  
რის გუნდა!  
რა თოვლის ჰანა!  
თითქოს ბუქსე არცა ვუწევარ,  
შიესხარ უჩივარდას,  
ია-იას მიეფურა.  
ტირის თოვლი,  
ბუჩქის პირას  
შურით უმხერს კორჩიოტას,  
იმ დღეს ნატრობს,  
იმ თეთრ დილას,  
ფიფქებდა რომ მოდიოდა.  
კვდება თოვლი ბუქსე შურით,  
ცრემლად დნება,  
მაგრამ... ჰერო!  
ამ ცრემლების მონაჭური  
ნაკადულად მიიძღვრის.

მხატვარი ლალი ლომთაძე





ბორის მოქარაზვილი

## მგალობელი შაში

საქართველოს მთიან ტყეებში მრავალი სახეობის შაში სახლობს. მათ შორის ბევრი კარგი მომღერალია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეედრება ბულბულს. ეს არის მგალობელი შაში. მისი სამოსიც საოცრად ემსგავსება ბულბულისას. ისეთივე რუხი-მომწვანო ზურგი და ნათელი ოქროსფერი მკერდი აქვს, თუმცაღა თითქმის ორჯერ დიდია ბულბულზე. ბრძენია ბუნება — დიდ მომღერლებს მყვირალა მორთულობით არ განასხვავებს...

ბუნებით მფრთხალი და მშობარა ჩიტი გაზაფხულობით საღამოუამს ჯდება ხოლმე ყველაზე მაღალი ნაძვის წვერზე, ხშირად ადამიანის საცხოვრებლის მახლობლად, და ყველას თვალწინ, უშიშრად იწყებს თავის საოცარ სიმღერას — ერთი ფერადი მუსიკალი მეორეს მიჰყვება, გაბმულ ხმაუკიდებას წყვეტილი სტვენა ცვლის — და იბადება ჯადოსნური ჰანგი. ახლგაზრდა შაშვები ხანდაზმულთაგან სწავლობენ მღერას, თაობიდან თაობას გადაეცემა მათი ხელოვნება.

მათი გალობის ნიჭი იღბლიანად ეთანხმება შენების ნიჭს. სულ რაღაც სამ დღეში ახერხებს შაში ბუდის მოწენას. მოხერხებულად აწყობს ნაძვის მოქნილ ნიწვებს და ზემოდან ხის ხავსით ფარავს. შემდეგ ის უკვე ბუდის მოპირკეთებას შეუდგება — გულმოდგინედ წმენდს წერილი ნარჩენებისაგან საცხოვრებლის შიდა ნაწილს. გაივლის მცირე დრო და ნაძვის ტოტის ძირში, ბუდეში 4 ან 6 კვერცი გამოანათებს.

აი, გაიარა გალობის ხანამ. მეგობართან ერთად საგულდაგულოდ კვებავს მამალი შაში ბარტყებს. 200-ჯერ მაინც მოაქვს დღეში ჭუპრები, ჭიბინი და მუხლუხები — ხუმრობა ხომ არ არის ექსი პატარის გაზრდა! 3 კვირის შემდეგ დღურთიანდებიან ისინი, შემდეგ კი მეორეჯერ იწყება კვერცხის დება...

...ზამთარი ბოლო დღეებს ითვლიდა, როცა ბაკურიანში გაემგზავრე, მინდობა გამეველო მის კორიუმბოში, გამეგო გაზაფხულის პირველი სუნთქვა.

შველ ნაძვთა საფარქვეშ ჯერ ისევ ბინდია. ოობას კი არ ეშინია თოვლისა, ტოტიდან ტოტზე უკვე გაუბამს დამჭერი ბაღე.

უცებ ხის წვერიდან ტყის სიღრმეში გაისმა წერილი სიცხილი. უნებურად გავირინდე. შემდეგ სიცხილი თითქოს სტვენას დაემსგავსა, ოღონდ მეტად ფერადს და წკრიალას... ჩუ, მგალობელმა შაშვმა დაიწყო სიმღერა! და რაღა საოცრებას არ გაიგებთ ამ სიმღერაში: ადამიანის სწრაფ ლაპარაკს, გვერტის გუგუნს, ტყის ნაკადულის სიმღერას...

ხოლო ნაძვნარის სიღრმიდან ისმის საზეიმო და ოდნავ სევდიანი ხმიერება შაში შაშვების გუნდისა, და ყველა ეს ჰანგი ერწყმის გაზაფხულის მოლოდინში გარიდული ტყის პარმონიას.





18469



# დედაპიუჰილი

მძების გვერდით გოგია  
 სიხარულით იფხება,  
 განა რამე სჯობია  
 მძებთან გახადისებან?  
 მზიას თძებით დათრევა  
 სშირად უშვარს იღიას,  
 თუძცა იღიას თათები  
 დისთვის ტებილსე ტებილია.  
 დაძმით სარობს მაიკო,  
 დაძმით სარობს ძამია,  
 სხვა სითბო აქვს დავიკოს,  
 სხვა სითბო აქვს ძამიას.  
 დედიკოს და მამიკოს  
 არ აწუხებთ ნეტაუი,  
 მარტო როა ანიკო,  
 მარტო როა ნესტანი?  
 სულ ერთია, დოღოა,  
 შორენა თუ შოთაა,  
 ერთი მუღამ ცოდოა,  
 ერთი მუღამ ცოტაა.

ლია ათხალაძე

# რა ქნას ფისო?

ფუნთუშა თუ აგუცქაფხა,  
 დეჰუბირებთ, საწუალს, მოკუვლას,  
 ნამცხვარს მოკუთხოვს, ფისო; აბა,  
 ნაცარს სომ არ აგვილოკავს?  
 უგელა შტქეს: აცხა, აცხა,  
 რა გაუძლებს ამდენ ცაცხანს!  
 დაუღლია უღვთო წანწაალს,  
 როგორ შია, ალბათ, საწუალს!  
 კია, ცოტა უსინდისო,  
 მაგრამ, აბა, რა ქნას ფისომ?



გვ. 18469

# ზეზვა და სამი ღათვი

თოვს ხევერიელად... ქედები  
თოვლმა დაფარა ისევ,  
შორს ქარი მიერეკება  
ზამთრის გაცრეცილ ნისლებს  
და ზეზვას მამა თივისთვის  
ბილიკს გაუყვა მთისკენ.  
ზეზვა პატარა ბიჭია,  
ჯერ არც იქნება ათის,  
ბუხართან წიგნსა კითხულობს  
და დრო ზღაპრებში გადის,  
დათვების თავგადასავალს  
იჯერებს, როგორც ნამდვილს,  
უკვირს მელიას ხრიკები,  
მისი საქმე და ფანდი.  
თოვს ხევერიელად... ლამაზად  
ბარდნის, ბარდნის და ბარდნის...  
მამა არა ჩანს, ელიან,  
სახლში ჩამოწვა დარდი-  
დედა ვერ ივლის ამ თოვლში,  
დედას მუხლები სტკივა,





ბული ზუზაბა

# სიყვლის იაზნანს

დედიკოს თვალის სინათლემ  
ცოფუნაზე წამწამფაზულაზე,  
თუ შეგცვილება, მითხარი,  
ხმელ ფოთლებს წამოგზურნა.  
მშვიდად და ტბილად იძინე,  
იაფნანინა, ნახალ,  
ახა, ვისა ჰყავს ლამაზი  
ცოფუნა ჩემისთანა.

ზეზვამ წიგნს თავი ანება,  
ტანზე ჩაიცვა თბილად,  
მამის ნაკვალევს გაუყვა,  
თან ჯოხი დაიბჯინა.  
შუა ფერდობზე შეჩერდა,  
დიდი გზა არის მთამდე,  
რას ხედავს, ცეცხლი უნთიათ,  
არ სძინებიათ დათევებს  
ბურღლუნებენ და ერთმანეთს  
უტყაპუნებენ თათებს.  
ზეზვა შეშინდა, იფიქრა,  
დავეშვებოო თავივე,  
მაგრამ შესძახეს დათევებს:  
— არაფერს გავნებთ, გნამდეს,  
მოდი და გათბი კოცონთან,  
გიაგმობთ ახალ ამბებს“.  
ზეზვა ც მივიდა, უამბო,  
დარდი რომ ჰქონდა მამის,  
დათვები დინჯად წამოდგნენ  
(რამდენი დათვი? სამი!),  
ზეზვას გაუძღვენენ აღმართზე,  
დარჩათ ვეება კვალი.  
იარეს... უცებ ხედავენ  
(თვლებს არ დაუჯერეს!)  
გადაბრუნებულ თივას და  
თივის ქვეშ — კაცის ხელებს.  
„მამა! — ზეზვამ იყვირა, —  
მიშველეთ! მიეშველეთ!“  
დათვებმა თივა ასნიეს  
და განზე გადაგნენ მერე.  
მამა ჯერ თოვლში შეირხა,  
მერე წამოდგა ფრთხილად,  
„გადაერჩი, — ჩაიბუზღუნა, —  
არც არაფერი მტკივა“...  
მადლობა უთხრა დათუნებს,  
კეთილად გაეღიმა,  
ზეზვა კი მკერდში ჩაიკრა,  
შუბლზე აკოცა ტკბილად.  
თივაზე, როგორც ციგაზე,  
დასვა სამივე დათვი,  
თან გვერდით ზეზვა მიუსვა,  
როგორც მშობილი მათი.  
ფერდობზე ჩამოაცურა,  
თოვდა, ლამაზად თოვდა,  
იცინოდნენ და მღეროდნენ,  
დარდი აღარა ჰქონდათ,  
ისე, სიმართლე თუ გინდათ,  
ზეზვა გაყინა ცოტა...  
ზის ზეზვა ახლა ბუზართან,  
გაყინულ ხელებს ითბობს,  
ზღაპრის დათვები არ ახსოვს,  
კეთილ დათვებზე ფიქრობს,  
ეს საოცარი ამბავი  
სიზმარში ნახა თითქოს.

# მიუპარს

მიუპარს ჩემი გუგუნა ტბა  
მუნსარები უღგო,  
მონაერაკე მოწერილდე  
სუფთა ნაქადლები!  
მიუპარს ჩემი ზღვა უბირი,  
ლურჯი ზეცა ზღანრული,  
მდელოები, ბადნარები  
მწვანედ გადაქარგული..



## ჩალიკლავი

შემოდგომით ჩალის ღერებს ფოთოლს გლეჯდა შმაგი ქარი,— ცალი სეღით აგერიფე და შემოვხვიე ცალი მკლავი, ზანამ შითხრა, რომ შეკლანა: — ამას ჰქვია ჩალიკლავი, იმ ჩალიკლავს ახრამუნებს ახლა ჩემი შავი კრავი.

ცირა შიხიაშვილი

## თადოს შირი

მოფრთეინებს თედოს ვირი— არ შინდალ უნავირი, ნუ შარმაცობ, შატრონო, გადმოადგი ფეხიო, შემოდგომა დამდგარა, გამომართე კეხიო, გადაშვიდე გოდრეუბი რთფელში გამიმეხიო.



## ღაჭიკლი თითისკაკო

გაგვიპარსა ზანამ კრავი, ფიცხი ეოჩი, დედა ცხვარი... გაისარჯა მარჯვე სეღი— აამდერა სანეჩელი. ააფრინა გოგომ ფარო. ახლა დიდი ქალი ვარო, დახრიალდი კვირისტავო, დატრიალდი თითისტარო.

მხატვარი შინა ლაშაური





## ძირ — ძირ

ერთ ბავშვს კრუხად აირჩევენ, მას უკან მიბმული ჰყავს „წინილები“. მეორე ბავშვი ძერა და ცდილობს წინილების მოტაცებას. კრუხი დაკრუხული ქექავს მინას და ძერას ეკითხება:

— ძერა, ძერა, რას აკეთებ?

ძერა უპასუხებს:

— წინდის ჩხირსა!

— წინდის ჩხირი რად გინდა?

— წინდას მოვესოვ!

— წინდა რად გინდა?

— შვილს ჩავაცმევ!

— შვილი რად გინდა?

— წყალს მომიტანს!

— წყალი რად გინდა?

— ცომს მოვზელავ!

უკანასკნელ სიტყვებთან ერთად ხელებ-გაშლილი ძერა წინილებს მოსატაცებლად გაექანება. კრუხი წინააღმდეგობას უწევს და იმართება ხელჩართული ბრძოლა.

## გაგონსანა

იოსებ ღვთისაშვილი

არცა ვარ პური, არც ღვინო,  
 არც თმის სალები ინაო,  
 ვინც შემიძინა მე მეტო,  
 წინ ვერვინ წაურბინაო,  
 ჩემს თავს ვერავინ წაართმევს,  
 რომ სცემონ ქვა და რკინაო.  
 მასთან ვარ, მისთვის საქები,  
 ჩემით სხვას უძღვის წინაო.

## ჭიქო

საქართველოს ალკ ც-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური სპეციალური ჟურნალი უმცროს-კლასელთათვის.

გამოდის 1904 წლიდან.  
 საქ. კპ ც-ის გამომცემლობა.

შთავარი რედაქტორი  
 ენმერ ენმერაძე

სარედაქციო კოლეგია: ემსარდ ბაშო-სამა, მანანა ანთაძე, ლაბარა გაბაია, მირი ღვთისაშვილი, სოლო-მონ ღვთისაშვილი, ლეილა მარამი, ვილა ლუსაბაძე, მამაკაძე მრეაბინაშვილი, ჯუარა ნაღრიძე, გომრბი რბინიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათი ხალაპი (პ/შ, მღვანე), ბიმი კნალაძე, ბიმი ბიბინაძე, მარინე ხარბინიშვილი.

ტექნიკური რედაქტორი  
 ენი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის-თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: თბ. რედაქციის 98-41-80, 98-98-15; პ/შ, მღვანის 98-10-82, 98-98-18; საშხ. რედაქციის — 98-98-18; განყოფილებების: 98-98-19; 98-98-17. გადამცემა საწარმო 5. 12. 86 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 12. 02. 87 წ., ქალაქის ზომა 60x90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფ. ნახ. ფურც. 2,5. ტირაჟი 168.000, შეცვლა 2819.


უღაზე ნახატი მამაკაძე  
 ხუბინიშვილი


«Дилა» («Утро»), ежемесячный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке.

Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии.

Главный редактор Энвер Нижарадзе (тел. 93-41-30).

Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Объем 25 печатных листов, тираж 168.000. Заказ № 2819.





მხატვარი ნანა იოსელიანი

დღესასწაული ცაში აჭრილა ფერად-ფერად  
ბუშტებად, ჭრელ-ჭრელ ფრანებად. აბა თუ  
გამოიცნობთ, რომელ ბავშვს რა სათამაშო  
უჭირავს?